



**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის #146/18¹
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა**

სოფიკო პეტრიაშვილი (სტუდენტი)

საქმის ფაქტები:

ადვოკატმა ადმინისტრაციულ დავაში მონაწილეობისას მიღებული პერსონალური ინფორმაცია, კერძოდ გ. ფ.-ის, როგორც სს ს. ბ.-ს გენერალური დირექტორის წლიური შემოსავლის ოდენობა გამოიყენა სამოქალაქო დავაში გ. ფ.-ის დაკითხვის დროს, სადაც საჩივრის ავტორი ჩართული იყო მესამე პირის - სს ს. კ.-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის სტატუსით. ადვოკატი ორივე დავაში წარმოადგენდა პროცესუალური მოწინააღმდეგის ინტერესებს.

პროცესუალური ისტორია:

ეთიკის კომისიას მომართა გ. ფ.-მა და მოითხოვა ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ აპეკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის შესაძლო დარღვევის შესახებ.

სამართლებრივი შეფასება:

კოლეგიის შეფასებით, ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა დაიცვას კლიენტის ინტერესები საუკეთესოდ, რისთვისაც ადვოკატი, როგორც შესაბამისი განათლებისა და პროფესიული უნარების მქონე პირი მოქმედებს კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიით. ამ პროცესში ადვოკატს აქვს პროფესიული ეთიკის კოდექსითა და ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მთელი რიგი ეთიკური ვალდებულებები კლიენტთან მიმართებაში, საქმისმწარმოებელ ორგანოსთან, კოლეგასთან და პროცესის მონაწილეებთან, თუმცა ადვოკატი ორიენტირებულია კლიენტზე და მისი ქცევა მიზნად ისახავს კლიენტის ინტერესების დაცვას. ადვოკატის შეფასებით იგი მოქმედებდა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, დასმული შეკითხვა წარმოადგენდა მისი სტრატეგიის ნაწილს და მას მოწინააღმდეგე მხარის მიმართ არ აქვს ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვის ვალდებულება. ამასთან, ადვოკატის შეფასებით მის მიერ ადმინისტრაციულ საქმეში მიღებული ინფორმაციის სამოქალაქო საქმეში გამოყენებას ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი - კლიენტის ინტერესზე შესაძლო დადებითი შედეგი. კოლეგიის პოზიციით, ადვოკატი სამოქალაქო დავის საქმეში მესამე პირად ჩართული გ. ფ.-ის, როგორც სს კ.-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, დაკითხვის დროს მოქმედებდა კლიენტის ინტერესის შესაბამისად, ადვოკატის პროფესიული როლის ფარგლებში და ამ პროცესში ადვოკატის ჩართულობის შედეგად სხვა ადმინისტრაციული საქმიდან მიღებული ინფორმაციის მოცემულ სამოქალაქო საქმეში გამოყენებით ადვოკატს არ დაურღვევია ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვის ვალდებულება, ვინაიდან აღნიშნული პროფესიული ვალდებულების დაცვის სუბიექტი - კლიენტია. შესაბამისად, კომისია მიიჩნევს, რომ კლიენტის წარმომადგენლობის პროცესში მოწინააღმდეგე მხარის შესახებ სხვა საქმიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით ადვოკატმა იმოქმედა ადვოკატის პროფესიული ქცევის წესების დაცვით. ეთიკის კომისია ასევე განმარტავს, რომ კომისიის კომპეტენცია ვრცელდება ადვოკატის პროფესიული ქცევის შეფასებაზე ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ფარგლებში და

¹ <https://gba.ge/pdf/5e61125208c76.pdf/146-18%2014.%2012.2018%20ar%20agdzvra.pdf>

მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს და დაადგინოს ადვოკატის მიერ სხვა ნორმატიული აქტების შესაძლო დარღვევა.

დასკვნა: ეთიკის კომისიამ მიაჩნია, რომ ადვოკატის მიმართ არ არსებობდა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.